



რეპენ სსრკი

თბილისი
კვირა
18 თებერვალი
1907 წ.
წელიწადი I.

№ 1

ყოველ დღიური გაზეთი.

№ 1

მიიღება ზღის პარკი 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

რეპენ სსრკი

აზიანის და ევლავილის მონაწილეობით.

გაზეთი ელბრება:

წლიურად	5 მ.	წლიურად	6 მ.
მესამე თვით	3	მესამე თვით	3
ერთი თვით	50 კ.	ერთი თვით	60

დღევანდელი მდგომარეობა

სრულდება რუსეთის არჩევნები, ახლოვდება სათათბიროს გახსნა; თანდათან ირკვევა სათათბიროს ფიზიონომია, და რუსეთის კამარია იხევე ემზადება არასასიამოვნო „კონსტიტუციონურ“ დღეებისათვის. ფუქი გამოდგა ყველა ის თავგამოდებული ღონიერებისანი, რომლებიც ბიუროკრატია იხმარა მორჩილი სათათბიროს შესაქმნელად. ურჩი, მაგნიტოვები, წარუღა გაქცევის მტეხი შარშანდღეზე. ვერც თავის დემოგოგიით, ვერც სამხედრო-საველე სამხარათლოებით, ვერც „ლიბერალური რეფორმებით“ აგრარულ ნიადაგზე, ვერც მისიყდით და ვერც მოტყუებით მთავრობამ თვის სიყვარული ვერ ჩაუვარდა ხალხს გულში. სხვადასხვა ნაირი განმარტების, საარჩევნო აგიტაციის სრული აკრძალვის და ხალხის შემარცხნე განმარტებულთა სიგებანი ამოშლის ფასით მან შავრაზმელები ოციოდე პრაქტიკი გაიყვანა სათათბიროში, ხალხმა საარჩევნო სიგებანი ისარგებლა, რათა სისხლის მშვენი მთავრობისადმი ღრმა სიძულვილი გამოეხატა. მან მომართულ მთავრობის ყველა დაზარალებული გადართა და მოპოვებული სათათბირო აირჩია, — უფრო ოპოზიციონური ვიდრე პირველი იყო.

მაგრამ არჩევნები მარტო ამას არ გვეუბნება. რუსეთის ხალხს თავის გარეგნულ-ლიტერატურულ უშედეგებში ნაბიჯი წაუდგამს წინ. სხვადასხვა ჯგუფთა და კლასთა ინტერესები უფრო და უფრო ირკვევა, მათი შეგება თანდათან ნათლდება და სენსაზე გამოდიან კლასიურად გარკვეული, ტიპური პარტიები; ორკოფი, ვარდამაყი, უბარტო, ნიდაფარებული ბრძოლის გარეშე რჩებიან. ხალხმა პოლიტიკური ზრდა მათ დღითი დღე ასწრობს. სამი ტიპური ჯგუფი უფრო მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი მავალ სათათბიროში: შავრაზმელები, ლიბერალური ჩარჩები პოლიტიკაში ანუ კადეტები, და წარმომადგენელი რევოლუციონური ხალხისა, — რომელსაც ბრძოლა სურს და არა ვაჭრობა, — რევოლუციონური დემოკრატია სოციალისტური პროლეტარიატის — სოციალდემოკრატის მეთაურობით. აი, ვისი ბრძოლა დაიჭრის სათათბიროს სენსაში.

კადეტებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ წარუღა დაეპარებოდნენ სათათბიროს, წრეულად რევოლუციონური ხალხი „შემოსავდა მათ თავის ღრმობით“, მწარეთ გაუტყულებდნენ ეს იმე-

დები. ხალხს მათი ერთგულება ხალხის თავის უფლებებისადმი აღარა სწამს, ხალხი ბრძოლისათვის ემზადება და არჩევნებიც დასაზავად გამოიყენა — არა მხოლოდ, ოპოზიციონერების არამედ უფრო მამად და ნაცად მებრძოლების გარეშე და აქედანაც აშკარათა სჩანს, რომ რუსეთის ცხოვრებას არავითარ „მეცადარ წერტილზე“ შეფერხება არ განუტლია, რომ ხალხის საომარი აღზდა შეუჩერებელ წინსვლაში ყოფილა. პირველი ადგილი ეკლავინდებულათ პროლეტარიატს უჭირავს. არჩევნებში მთელმა რუსეთის პროლეტარიატმა მხოლოდ სოციალდემოკრატია იცნო თვის ინტერესების გამომხატველად, თავის ხელმძღვანელად სენო მისი სოციალისტური და რევოლუციონური მცნებები და მით ერთხელ კიდევ დაამოწმა, რომ ის რუსეთის რევოლუციონის ღირსეული პოლიტიკა.

გულსკაცობაც საკმარის შეგებულთ მოეცა და არჩევნებს სენატ. სოციალისტის განმარტებები მარტო შავრაზმელებისადმი იყო ხელსაყრელი. მათი არა ნაკლები კადეტებმა ისარგებლეს. ისინი რევოლუციონური დემოკრატისთან ერთად შავრაზმელებს საფრთხეს — და შავრაზმელებთან ერთად, მემარცხენათა საფრთხეს — ებრძოდნენ. — ყველა ვისაც მშვიდობიანი გზით უნდა უფლებები მოეზოგოს — ეუბნებოდნენ კადეტები გულსკაცობა — ის ჩვენ მოგვეცეს ხმა. ჩვენ ბოულტენის მესტ არაფერსა ვთხოვთ რუსეთის მოკლავს, ნუ გაჭყვებით სოციალდემოკრატებს და სხვა მემარცხენებს, რომლებიც ბოულტენისად არ დაგვეტრებიან, და სათათბიროს გარეშე აქტიურ მხარის დაქვრას, ბრძოლას მოგვთხოვენ. — ასე იხილავდნენ კადეტები ხალხს აუარებელ თვის გაზრდებში, აუარებელ კრებებზე. არავითარ ცილის-წამების წინ არა ჩერდებოდნენ, რათა მემარცხენებისათვის და განსაკუთრებით ბალშევიკებისათვის სახელი გაეტეხათ. მაგრამ ყველა მათი მეცადინეობა მათსავე წინააღმდეგ მიიძრა. ხალხმა სწორედ მშვიდობიანობის გზა არ იწამა, სწორედ მშვიდობიანობის მქადგებელ შედეგთა ზურგი და გაქცევა იმით, ვინც რევოლუციონურ გზას ადგია, ვინც წმინდა სამოქალაქო ომისკენ მოიწოდებს.

მხოლოდ ქალაქის წყრილი ბურჟუაზია შეაშინა შავრაზმელებსა სფრთხეში და კადეტები არჩევნის, როგორც ნაკლები ბოროტება. და მაინც ვინტეს კონსტიტუტია, სენატ. სოციალისტის განმარტებანი, საარჩევნო პოლიტიკური ძალმომრეობა, — რომლებსაც ხალხის დიდი

ნაწილი არ მიუშვებს საარჩევნო ცუთებთან, — რომ არ ყოფილიყო, კადეტები საბიროს ვერ იხილავდნენ.

არჩევნებში რუსეთის მცხოვრებთა უდიდესმა ნაწილმა, მთელმა მშრომელმა ხალხმა მკაფიოდ გამოსთქვა თავის სურვილი: ბრძოლა გვეწიან, გადაწყვეტი ბრძოლაში. გულსკად გადატრიალთ დგება იმ გზაზე, რომელზედაც პროლეტარიატმა დიდი ხანია ფეხი შესდგა. ამით ის სოციალისტური პროლეტარიატის ხელმძღვანელობას აღიარებს. მთავარი საქმე საბოლოო მთავრებისა კეთდება. ახლოა გადაწყვეტი ბრძოლაში.

საარჩევნო ბრძოლა პირდაპირი და მემარცხენები

არსად ისე არ გამოვეყვებულა საარჩევნო ბრძოლა, როგორც პეტერბურგში. არსად ისე არ შესჯახებინა ერთმანეთს პარტიები, როგორც პეტერბურგში. სოციალდემოკრატები, ნაროდნიკები, კადეტები, შავრაზმელები, ბალშევიკები და მემარცხენი სოციალდემოკრატიაში, ტრუდოვკე-სერები და სახალხო სოციალისტები — ნაროდნიკებში, მემარცხენე და მემარცხენე კადეტები — კადეტურ პარტიაში, — ყველა ესენი ცხარე ბრძოლას ეწყობდნენ.

სამაგიეროდ, არსად ისე ნათლად არ გამოჩნდებოდა პარტიათა ფიზიონომია, როგორც პეტერბურგში. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. საარჩევნო ბრძოლა — ეს ციხისა და ციხის, პარტიების გაცნობა ქო მხოლოდ საქმეში შეიძლება. ცხადია, რაც უფრო ცხარე წარმოებდა ბრძოლა, მით უფრო აშკარათ უნდა გამოჩნდებოდა მემარცხენათა ფიზიონომია. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ბალშევიკებისა და მემარცხენების ყოფა-ქცევა საარჩევნო ბრძოლის დროს.

გვესმობათ მემარცხენების ლაპარაკი. ისინი ჯერ კიდევ არჩევნებამდე იძახდნენ, რომ დამუფუნებელი კრება და დემოკრატული რესპუბლიკა მტერი პარტია, რომ, ყველაზე პირველად, საჭიროა სათათბირო და კადეტების სამინისტრო, რის გამოც საჭიროა საარჩევნო შეთანხმება კადეტებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში შავრაზმელები გაიზარჯებენო. აი, რასა სწერდა არჩევნების წინ მემარცხენების ბელადი, ჩერევენინი:

„სისულელე და უგონობა იქნებოდა პროლეტარიატისგან, თუ ის, როგორც მას ზოგიერთები ურჩევნებ, გულგებნათ ერთად ჩაებოდა ბრძოლაში წინააღმდეგ მთავრობისა და ბურჟუაზიისა. სრულ-უფლებიანი და სახალხო დამუფუნებელი კრების მოსაზრებლათ.“ ჩვენ ახლო კადეტებთან შეთანხმება გვინდა და კადეტური სამინისტროც (იხ. „Наше дело“ № 1).

მემარცხენების მეორე ბელადი, პლენინი კერს უკრამა ჩერევენინს, ისიც უარაყვება სახალხო დამუფუნებელ კრებას და, სამაგიეროდ, ასრულ ძალა-უფლებას სათათბიროსკენ იძლეოდა, რომელიც „საერთო პლატფორმაში“ უნდა

გადაკეულიყო კადეტებისა და სოციალდემოკრატებისათვის (იხ. „Товарищ“ 24 ნოემბერი 1906 წ.).

ხოლო ცნობილი მენშევიკი, ვასილი-ფი, უფრო გულგებლად ამბობდა, რომ ჩერევენინი „კლასთა ბრძოლა მომავლენი კლასთა... რომ საჭიროა სხვა და სხვა კლასებმა და ჯგუფებმა დროებით თვი განგებონ თავიანთ საუკეთესო პროგრამებს და შეერთდნენ ერთ კონსტიტუციონურ პარტიაში“ (იხ. „Тов.“ 17 დეკ. 1906 წ.).

ასე ლაპარაკობდნენ მენშევიკები.

ბალშევიკები თაობითვე გამოდნენ მენშევიკების ასეთ არამარქსისტულ საქციელს. ისინი ამბობდნენ, რომ სოციალისტების არ შეფერით კადეტებთან შეთანხმება, — სოციალისტები დამოუკიდებლად უნდა გამოდიოდნენ საარჩევნო ბრძოლაში. არჩევნების პირველ საფეხურზე შეთანხმება დასაშვებია მხოლოდ როგორც გამონაკლისი და ისიც ისეთ პარტიებთან, რომლებიც დღითი ლოზუნგთა ასევენ სახალხო დამუფუნ. კრებას, ყველა მიწების ჩამორთმევას, 8 საათის სრულყოფილ დღეს და სხვ. კადეტები კი უარყოფენ ყველა ამას და ძალიან ცუდი, რომ მენშევიკებიც მათ ბაძვენ. „შავრაზმელები საფეხზე“ ლიბერალის გამოგონება ზოგიერთა გულგებულების შესაშინებლად, შავრაზმელები ვერ „აჯანყნენ“ სათათბიროს. მენშევიკები ლიბერალის ფეხის ხმას ასდევნენ, როცა „შავრაზმელები საფეხზე“ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ არსებობს და მართლაც საფეხზე არის „კადეტური საფეხი“, ჩვენი ვლადიკარ-შეში შემოვიკრიბით ყველა რევოლუციონური ელმენტი და ბრძოლა გავწიოთ კადეტებს, რომლებიც კავშირს ჰკრავენ რაქციასთან წინააღმდეგ რევოლუციისა. ჩვენ გითხრა და იმავე დროს ორნაირ ბრძოლას უნდა ვეწყოდეთ: როგორც რაქციასთან, ისე ბურჟუაზიასთან და მის დამცველებთან.

ასე ლაპარაკობდნენ ბალშევიკები.

და აი, მოახლოვდა პეტერბურგის სოციალდემოკრატული კონფერენცია. აქ, ამ კონფერენციაზე უნდა წამდგარიყო პროლეტარიატის წინაშე ორი ტაქტიკა: ტაქტიკა კადეტებთან შეთანხმების და ტაქტიკა კადეტებთან ბრძოლის. რასაც დღემის ლაპარაკობდნენ ბალშევიკები და მენშევიკები, დღეს ის კონფერენციაზე უნდა დაფასებინა პროლეტარიატმა. მაგრამ მენშევიკებს დამარცხების სენი მიუვიდათ, მათ იგრძნეს, რომ კონფერენცია გაქციებდა მათ ტაქტიკას, — და გადაჭრის წასულიყვნენ კონფერენციადან. კავშირი შეწყვეტილთ სოციალდემოკრატისათა და კადეტებს შვეშაპირებოდნენ. კადეტებთან შეთანხმებისათვის მენშევიკებმა რასკოლი დაიწყეს. კადეტებთან გატრიალთ უნდალათ მათ თავისი კაცები — გაეყვანათ სათათბიროში.

ბალშევიკები ხმაშალა გმობდნენ ამ უხასიათო საქციელს. ისინი კიდრებით ხელში ამტკიცებდნენ „შავრაზმელები სოფთხის“ არაირაკობას. ისინი კრიტიკის ქარცუბლში ატარებდნენ ისტრებსა და ტრუ-

ლოცვებს და ხმაშლით მოუწოდებდნენ მათ—პროლეტარიატის გარშემო თავმოყრილიყვნენ წინააღმდეგ რეაქციისა და კადეტებისა.

და როცა ბალშევიკები პროლეტარიატის გარშემო კრებდნენ რევოლუციონერ ღვინძრებს, როცა ისინი შეუდრეკლათ ახორციელებდნენ პროლეტარიატის შეურიგებელ ტაქტიკას,—ამ დროს მენშევიკები, მუშების ზურგით უკან, მოლაპარაკებას მართავდნენ კადეტებთან.

კადეტები კი თანდათან მარჯვნივ იხრებოდნენ. კადეტების ლიდერი მილოუკოვი სტოლიპინმა მიიწვია „მოსლავარაკებთან“. კადეტებმა კრახშიათ მიანდეს მილოუკოვს „პარტიის სახელით“ ელაპარაკა რეაქციასთან. ცხადია, კადეტებს შეთანხმება უნდოდათ რეაქციასთან წინააღმდეგ რევოლუციისა. ამგვარ დროს კადეტების მეორე ლიდერი, სტრაჟევიჩი, ხმა მალა აცხადებდა, რომ „კადეტებს მონარქთან შეთანხმება უნდათ კონსტიტუციის მოსაპოვებლათ“ (იხ. „Речь“ 18 დეკ. 1906 წ.). აქვარა იყო, რომ კადეტები რეაქციის უკუშორდებოდნენ.

მეს. შევიკები კი მაინც მოლაპარაკებას მართავდნენ კადეტებთან, ისინი მაინც მათთან კავშირს ეძებდნენ. საბრალონი, ვერ ხვდებოდნენ, რომ კადეტებთან შეთანხმებით რეაქციას ეთანხმებოდნენ!

ამგვარ დროს იწყება ნებადართული სალიკუსიო კრებები. აქ, ამ მიტინგებზე, პარლამარი ირკვეოდა, რომ „შავარაზული სასოფხე“ ფანტაზიაა, რომ მოავარი ბრძოლა კადეტებსა და სოც.დემოკრატებს შორის წარმოებს, და ვინც კადეტებთან შეთანხმებას აკეთებს, ის ძირს უთხრის სოციალდემოკრატებს. მენშევიკები ბოლომდე მიტინგებზე მათ ეთანხმებოდნენ, მაგრამ აშკარად შერცხვნიდნენ და მიიშლიდნენ. კადეტების მანქანა-მენშევიკებს გასავალი აღარ ჰქონდათ. სალიკუსიო მოღვაწე ბალშევიკებს და კადეტებს დარჩათ, მათ შორის ბრძოლა მოიცვა მიტინგებში. ესეუბი და ტრუდოვიკები თავს ანებებდნენ კადეტებთან მოლაპარაკებას. სახალხო

სოციალისტები ირკვეიან. ბალშევიკები მეთაურობენ საარჩევნო ბრძოლას.

სად იყვნენ ამ დროს მენშევიკები? ისინი კადეტებთან ბაასობდნენ სამხედრო-პოლიტიკურ დიდების შესახებ. ეს დამჯერებელია, ეს სამარცხენიოა, მაგრამ ეს ფაქტია, და ჩვენი ვალია ხმა მალა ვალია რომ სიმართლე.

ბალშევიკები იძახიან: ძირს კადეტების მეთაურობა!

მენშევიკები უარყოფენ ამ ლოზუნგს და მთ კადეტების მეთაურობას ემორჩილებიან, კულში მისჩანჩალებდნენ მათ.

ამგვარ დროს არჩევნები ხდება მუშათა კურიაში. ირკვევა, რომ მენშევიკების რაიონებში მუშებს თითქმის ყველგან ესერები აურჩევია რწმუნებულებათ. „ჩვენ ხმას ვერ მივცემთ კადეტების მოკავშირეებს, ისევ ესერები სჯობს“—ასე ამბობდნენ თურმე მუშები. ეს დამჯერებელია, ეს სამარცხენიოა და თვის მომკრეპი, მაგრამ ეს ფაქტია და მისი დაფარვა შეუძლებელია. მუშები ლებრალებს უწოდებენ სოციალდემოკრატებს და ბურჟუაზიულ დემოკრატებს, ესერებთან რჩობენ ყოფნას! აი, სადამდე მიგვიყვანა მენშევიკების ოპორტუნიზმმა!

ბალშევიკები განაგრძობენ თავიანთ შეურიგებელ ტაქტიკას და პროლეტარიატის გარშემო უწოდებენ ყველა რევოლუციონერ ღვინძრებს. ესერები და ტრუდოვიკები აშკარად უფრთხილებიან ბალშევიკების ლოზუნგს: ძირს კადეტების მეთაურობა! სახალხო სოციალისტები პეტროვის სწევრები კადეტებთან. ყველას თვის თვალსაჩინო ხდება, რომ სოციალდემოკრატების და ესერ-ტრუდოვიკების შეთანხმება ისე ვერას დროს ვერ დაწყოლებს ხმებს, რომ შავარაზებში გაიმარჯვონ. ან კადეტებმა უნდა ვერ მარჯვონ, ან უკიდურეს შემარცხენებმა „შავარაზული სასოფხე“—ფანტაზია.

ამგვარ დროს კადეტები მოლაპარაკებას სწევრებ მენშევიკებთან. სჩანს ვაჭრობა ვერ დაუვლათ. ბალშევიკებმა კი შეთანხმება შეკრეს ესერ-ტრუდოვიკ-სახალხო სოციალისტებთან, გამარტოვებს კადეტ-

ბი და საერო იერიშით გაილაშქრეს რეაქციისა და კადეტების წინააღმდეგ. პეტერბურგში სამი საარჩევნო სია გამოცხადდა: შავარაზების, კადეტების და უკიდურეს შემარცხენების. ასე აღსრულდა ბალშევიკების ნათქვამი სამი სიის შესახებ წინააღმდეგ მენშევიკებისა.

უკუდებულნი პროლეტარიატისაგან, პირში ჩალა-გამოვლენულნი კადეტებისაგან, მასხარათ ავდებულნი ესერ-ტრუდოვიკებისაგან, შერცხვნილნი ისტორიისაგან,—მენშევიკები ჰყრიან იარაღს და უკიდურეს შემარცხენთა სიის აძლევენ ხმას წინააღმდეგ კადეტების. ეიზენშტეინი მენშევიკების სარაიონო კომისია ხმა-მალა აცხადებს, რომ მენშევიკები უკიდურეს შემარცხენებს მისცემენ ხმას წინააღმდეგ კადეტებისა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა უარჩვეს „შავარაზული სასოფხე“, მთ უარჩვეს კადეტებთან შეთანხმება და მხარი დაუჭირეს ბალშევიკების ლოზუნგს: ძირს კადეტების მეთაურობა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა უარჩვეს თავიანთი ტაქტიკა და ხმა მალა ლიარის ტაქტიკა ბალშევიკებისა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა ხელი აიღეს კადეტების მანქანა-ბაზე და ახლა ბალშევიკებს აფხანალონ. დაბოლოს მოხდა არჩევნები და გამოჩნდა, რომ არც ერთი შავარაზული არ აურჩევიათ პეტერბურგში!

ასე გამართლდა ბალშევიკების ტაქტიკა პეტერბურგში, ასე დაშარცხდნენ მენშევიკები.

დასკვნა: მენშევიკები არ არიან ნაწილი სოციალდემოკრატები, ისინი შოლოთ სოციალთ სოციალდემოკრატებზე, საქმით—ლიბერალების მანქანა-ლიბერა-

ამას ამბობს საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში.

პ რ ა მ ს ა

მენშევიკური საფრთხი. არსებობს ქვეყნით კაცი ვინმე, პარტენაშვი-

ლათ-წოდებული, და ხელობა მისი—პალშევიკური საფრთხისა აღმოჩენა (იხ. „წიგნი“ № 4). ის ძალიან დაუფრთხია ბალშევიკების რევოლუციონერ ტაქტიკას და ისე არეგია დავთარი, რომ „შეი თერთო მოსჩვენებია, ფაქტი და ილიუზია ერთმანეთისაგან ვეღარ გაურჩევია. ყური დაუდგეთ:

—განხეთილება უკვე მოხდა ავტურ-ტურგში. მოხდა თბილისშიც და მოსკოვშიც. ლოდნულია ახლოვე განხეთილება მოხდეს ყველგან, თვით პარტენაშვიც! საბრალო „პუბლიცისტი“! ისე დამფრთხილო, რომ უთანხმოება და განხეთილება ერთმანეთისაგან ვეღარ გაურჩევია, მენშევიკები ღილი ხანია ცდილობენ განხეთილება „ჩაადონ“, მაგრამ ვანს ეს იმას ნიშნავს, რომ უთანხმოება განხეთილება? ვანს ეს იმას ნიშნავს, რომ განხეთილება ფაქტია?

„მან (ე. ი. პროლეტარიატმა)... შემარტულ სივრცე მენშევიკები გაბატონდა და ჩვენი ბალშევიკები უჯარაგენერლებათ დატოვა“. მოგვითხრობს იგვე.

საბრალო დემოგოგი მან არ იცის, რომ შემარტულ სივრცე შოლოდ 30 ათასი პარტიის წევრის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას (12 ათასი ბალშევიკური და 18 ათასი მენშევიკური); მან არ იცის, რომ პოლშის 25 ათასი, ლატვიის 10 ათასი და ზუნდის 30 ათასი წევრის წარმომადგენლები, რომლებიც თანაგანდობას უცხადებდნენ ბოიკოტისტურ ტაქტიკას სათაბოტრო ხმით იყვნენ სივრცე; არ იცის და მაინც სწერს,—დაბათ არ ფიქრობს, როცა სწერს, ან იქნება, პოლიტიკური „პუბლიცისტი“, პოლშის, ლატვიის და ზუნდის მუშები პროლეტარიატს არ გვიჩინა! თუ პროლეტარიატს იცით, —ინფარმით, რომელ ტაქტიკას უფრო მეტე უკეთ გამოუყენა; აქ ისე უნდა დავთარი. რომ ანგარიში დაავიწყდეთ, ნუ გეშინიათ, ჯერ არ ჩაუშლიათ ბალშევიკებს მენშევიკთა იმედების ჭურჭელი, სათაბოტრო... მაგრამ დამფრთხილო

ბის გაფართოებას. მაგრამ ცხოვრებას არ გამართლას ეს იმედები. „პრეწინაველ გამარჯვების“ მაგივრად სოციალდემოკრატებმა ცოტათი გამოიპოვა თავისი ამრჩევლები და ამასთანავე დააბრკა თავის მანდატების კარგა მოზრდილი ნაწილი.

სოციალისტური პრესის ერთი ნაწილი ამ ფაქტს ამნიათი ხსნის: სოციალდემოკრატის ჩამოშორდა აუარხებელი წევრები ბურჟუაზიული ხმები. ვერცა წოდებული მანქანა-ლიბერა, და ამან გამოიწვია ოცდამეცხვრე მანდატის დაკარგვა. მაგრამ ესეთი ახსნა საკმარისი არაა. ასეთი ახსნა ნათესავებს „დამარცხების“ შოლოთ ტენიკურ მხარეს, მაგრამ ის არაფერია არ გვეუბნება იმ სოციალდემოკრატურ მიზეზებზე, რომლებიც შოლოთ შესაძლებელია ხსენებული მოვლენის ახსნა. წერად-ბურჟუაზიული ხმები ჩამოშორდა გერმანულ სოციალისტურ პარტიას, მაგრამ რატომ სწორით ახლა ჩამოშორდა,—აი, რაშია კითხვა.

პრეწინაველ კოვლის უნდა აღვნიშნოთ, რომ წერად-ბურჟუაზია თავისთავად არც კონსერვატიულია და არც რევოლუციონერი. უფრო სწორით რომ ესთქვით, იგი ხან კონსერვატიულია და ხან რევოლუციონერი. წერად-ბურჟუაზიის ასეთი ხასიათი გამოიწვინათ იგობს ის ორკოფი ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელშიც იგი დღეს იმყოფება. მას უჭირავს საშუალო ადგილი იგი მოწინააღმდეგე კლასთა შორის: კარტალისტების და პროლეტარიატის, ამ-

ფელეკონი

მეო აპოლის და მუი ჩადის.

მ. გოგიაძე.

მეო აპოლის და მუი ჩადის, ჩემს ციხეს კი ბნელი ჰვარავს, დღე და ღამე კარაულინი სარავაგებ ჩემს ფანჯარას!

როგორც გსურდით მიღარაგეთ, არა ფიქრობ მე ვაძეკვას, თუმც კი მინდა, მაგრამ ვიცი ვერ დავამტყვებ ამ რკინის ჯაჭვს!

ეხ, ბორკილი, რკინის ხუნდი, შენ ხარ ჩემი ყარაული, ვერ დავამტყვებ, ვერ დავამსხრევ, დაივალა ჩემი გული!

ი. ევლოშვილი.

25 იანვარი მანქანაში

უკანასკნელი არჩევნების შედეგმა გერმანიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მოაზრე კაცობრიობაზე. მთელი პრესა, როგორც ბურჟუაზიული ისე სოციალისტური, დღემდისაც კი დავიწყებით განიხილავს ამ კითხვას. განსაკუთრებით ბევრს აყრიან სოციალდემოკრატების გერმანულ წოდებულ „დამარცხებაზე“ თვით გერმანიაში, სადაც კლასიური ანტაგონიზმი უკიდურეს წერტილამდე მიიწეული. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა აღარ ფარავს თავის ბრტყეობას და ცხადდები

დღესასწაულობს გამარჯვებას. ამ სივრთო სიხარულში მონაწილეობას იღებენ კონსერვატორებიც, ნაციონალ-ლიბერალებიც, ლიბერალებიც და ბიუროკრატებიც, ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვისაც „წითელმა საფრთხემ“ ერთ რეაქციონერ მასსაში მოუყარა თავი. მაგრამ პრესის აქ, როგორც ყველგან, გამოხატავდა შოლოდ მას, რაც გერმან წოდებულ საზოგადოებაში ხდება. და რა ხდება ამ საზოგადოებაში მწილი ასაწერია. განთქმულმა ნენცერტრმა შოკი-ნიშმა საკმაო საბაბი იშოვა თავისი თავის გამოსაშვარავლათ. შეკრები ყველა სორტის ფილისტერები, მიანებეს თავი ლუდის სტოლებს და ჩოქოლით მოეფინენ ბერლინის და სხვა ქალაქების ქუჩებს. რომ ოფიციალური გერმანიისთვის თავის კეთილ-აზროვნება ეჩვენებიათ, ფილისტერები ვიღვგელმ მეთრის სახალხს მიადგნენ, სადგანაც გულმოდობილი მონარქი მხურვალე სიტყვით მიეცება მათ, მაგრამ არც მუშები დაივიწყა პარტიკული ექსტრეზით მოკლულმა ბრძოლა და მათი საერთო სახლის წინ ევლური დემონსტრაცია მოახდინა. და რომ ეს საზოგადო პროკო-აკია ისხლის ფრთით არ გათავდა, მას მუშებს უნდა უმადლიდეს ლიბეტივი.

რა მოხდა? რატომ აუღელნენ ფილისტერები? ვეცადოთ საფუძვლიანთ უპასუხოთ ამ კითხვებზე. ვეცადოთ აგრეთვე ავსნათ რატომ მოხდა ის რაც მოხდა, ახალ რეისტრგში სოციალდემოკრატ-

ლმა პარტიამ დაკარგა ოცდა თექვსმეტი მანდატი. აი, რამ აღაგზნო ოფიციალური გერმანიის პარტიკული გრძნობები. აი, რამ დააფიქრა ზოგერთი ანგაგთავანიც.

ამ ფაქტის მოულოდნელობამ დიდად შეუწყო ხელი, როგორც პრევილის სიხარულს, ისე შოკრთა პესიმისტურს სულისკეთებას. რომ ბურჟუაზიულიც და სოციალისტური პრესაც ერთნაირად მოვლოდნენ სოციალდემოკრატულ ფრაქციის გაძლიერებას რეისტრგში, ეს ფაქტია, გარდა ბალსტრგში (დახურული რეისტრგის პრეზიდენტმა) თავის ადგილიც კი უნდებოდა ზინგვს. ეს მოლოდინი არ იყო სრულიათ უსაფუძვლო.

მეტი რეისტრგის დახურვის წინ, მასში განხილულ იქნა კანონ-პროექტი ახალი გადასახლების შესახებ. არც ერთს პარტიას, სოციალდემოკრატის გარდა, ოპოზიციონერობა არ ეყო, რომ ამ კანონ-პროექტს წინააღმდეგ ხმა აღემაღლებინა. შოლოთ სოციალდემოკრატებმა დამგო რკინის გზის ტარების ამაღლება და ახალი გადასახლები თვითუნებ და უღებზე. რადგან ორივე ეს საგანი ყოველი გერმანელის ოჯახში აუცილებელ საქორებას შეადგენს, ამიტომ მათე გადასახლის გაძლიერა ოპოზიციონერი სულის გაძლიერებით უნდა გამოხატულიყო. სოციალდემოკრატის ამით ერთი იარაღი ეძლეოდა ხელში, რომლითაც იგი ფიქრობდა არა ერთ თავის ბურჟუაზიული კონკურენტის დამარცხებას არჩევნების დროს. და მთ თავის ძალე-

ფოსტით ფულის გამოგზავნა შეიძლება
ადრესით: Тифლისь ред. „ИСАРИ“.
რედაქტორ-გამომცემელი
ივ. მჭედლოშვილი.